ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №94

02.12.2021 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ლევან ჯაფარიძე (**კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი**), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ერეკლე კუხიანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **გიორგი ახვლედიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ლევან დავითაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ლევან ჯაფარიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30), გარემოს დაცვის, ასევე, სარევიზიო კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გ. ტყემალაძის 2021 წლის 1-ლი დეკემბრის №12-032133511-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გ. ტყემალაძის 2021 წლის 1-ლი დეკემბრის №12-032133511-03 წერილი)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ლევან ჟორჟოლიანმა.

მომხსენებლის (ლ. ჟორჟოლიანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის 28 ივნისს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმადაც - აღნიშნული კოდექსის 155-ე მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევისა და დაკომპლექტების წესი. აღნიშნული ცვლილების შედეგად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობა განისაზღვრება 50 წევრით, რომელთაგან 10 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 40 წევრი – პროპორციული წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესული ცვლილების შედეგად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების

რაოდენობა შემცირდა და ნაცვლად 25 სამაჟორიტარო ოლქისა, განისაზღვრა 10 სამაჟორიტარო ოლქით. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაფართოვდა ერთმანდატიანი სამაჟორიტარო ოლქების ტერიტორიები და მაგალითად: თუ სამგორის სამაჟორიტარო ოლქი ცვლილების განხორციელებამდე დაყოფილი იყო ოთხ სამაჟორიტარო ოლქად და შესაბამისად, არჩეული გახლდათ ოთხი მაჟორიტარი, ამჟამინდელი ცვლილებების შემდგომ აღარ იქნება ოთხი სამაჟორიტარო ოლქი და მაჟორიტარი, და არსებული ერთმანდატიანი სამაჟორიტარო ოლქი სრულად მოიცავს საარჩევნო ოლქის ტერიტორიას.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რეგლამენტი შესაბამისობაში მოდის საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" განხორციელებულ ცვლილებასთან.

ამასთან, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, წარმომადგენლობის გამართული ფუნქციონირების, ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების ეფექტიანად და სწრაფად მართვის მიზნებიდან გამომდინარე, ის მაჟორიტარული ოლქი, რომლის ტერიტორიაც გაფართოვდა და მოიცვა ცვლილებამდე არსებული მაჟორიტარული წარმომადგენლობები, შესაძლოა, შედგეს წარმომადგენლობის ტერიტორიული ერთეულებისგან.

ასევე, შესაბამისობაში მოვიდა გაფართოებული მაჟორიტარული ოლქების დაფინანსების საკითხი და აღნიშნული მაჟორიტარული ოლქებისთვის თანხის გამოყოფა მოხდება ქ. თბილისის ბიუჯეტიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ყოველთვიურად, იმ პროპორციით, თუ რამდენი წარმომადგენლობის ტერიტორიული ერთეულიც მოიცვა ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად გაერთიანებულმა სამაჟორიტარო ოლქმა.

კერძოდ, მაგალითად: წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, სამგორის რაიონის მაჟორიტარული ოლქი გაერთიანებს დღეს მოქმედ 4 მაჟორიტარის წარმომადგენლობას. თითოეულის დაფინანსება დღეს მოქმედი რეგულირებით შეადგენს 5000 ლარს, რომელიც გადაეცემა გაერთიანებულ მაჟორიტარული ოლქს და განისაზღვრება 20 000 ლარით. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებით არ ხდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯების გამოყოფა.

აღსანიშნავია, რომ რეგლამენტის 15[2] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წარმომადგენლობის მიზანია მოსახლეობისთვის საკრებულოს მაჟორიტარ წევრთან შესაბამის საარჩევნო ოლქში კომუნიკაციის ხელმისაწვდომი პლატფორმის არსებობა.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანებია: ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობასა და ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მაჟორიტარი საკრებულოს წევრის მონაწილეობის ხელშეწყობა და ადგილობრივი თვითმართველობის განხორციელებაში, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა.

ვინაიდან, საქართველოს ორგანულ კანონში „საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებულმა ცვლილებამ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარული ოლქების შემცირებამ, რიგ შემთხვევებში, გამოიწვია მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიის მკვეთრი ზრდა, წარმომადგენლობის მიზნებიდან გამომდინარე, მაჟორიტარების მიერ დაკისრებული ფუნქციების სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, აუცილებელია დღეს მოქმედი წარმომადგენლობის ტერიტორიული ერთეულების სახით შენარჩუნება.

დადგენილების პროექტით ხორციელდება ტექნიკური ხასიათის ცვლილება და ამოღებულ იქნება რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტი.

გარდა ზემოაღნიშნულისა 2021 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელდა ცვლილება/დამატებები, რომლის შედეგადაც:

ა) შეიცვალა მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციის შექმნისა და ახალშექმნილი ფრაქციის რეგისტრაციისათვის დადგენილი წესი;

ბ) განისაზღვრა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების ახლებური წესი;

გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა ჩამონათვალს დაემატა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა;

დ) განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობა;

ე) განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობა;

ვ) განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შექმნისას მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის, დამტკიცებისა და კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების წესი;

ზ) განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევისას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეობის საკითხი;

თ) განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი;

ი) მოწესრიგდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორგანოებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წარმომადგენლობის საკითხი;

კ) განისაზღვრა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, მისი თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების,

უფლებამოსილების შეჩერების დროს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების წესი.

ამასთანავე, ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად, ცვლილების ტექნიკური ხასიათის გათვალისწინებით, ამოღებულ იქნა/დაკორექტირდა რამდენიმე მუხლი.

გარდა ამისა, ვინაიდან ცვლილებები ხორციელდება იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის უფლებამოსილების ნაწილში უნდა მოხდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების ჰარმონიზაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტთან.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ლევან ჯაფარიძე